Anti-state movement in Adjara in the beginning of the XX century

ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობა ბათუმის ოლქში მე-20 საუკუნის დასაწყისში

OTAR GOGOLISHVILI
Professor Department of history, archeology and ethnology
Batumi Shota Rustaveli State University
Ninoshvili str. 32/35 Batumi, Georgia
ORCID: 0000-0002-5196-4155
otargogolishvili@gmail.com
593 61 78 95

Abstrakt: Since the beginning of the XX century, a political movement throughout Russia has begun strengthening significantly. The frequency of strikes and demonstrations were increased. A broad society did not want to live as it used to, workers were especially active, who were complaining of their difficult social conditions and massively demanding their improvement. At that time, the labor movement was increasing in the Batumi district, as well. The difficult, unbearable economic conditions of the local workers were being recognized by officials, too. The special representative of the governor of Kutaisi in the district was writing indignantly: "It is absolutely impossible to live like the workers in Batumi. I wonder how people work at all in such conditions".

The hard conditions of Batumi workers were underlined by Petersburgian officials as well. In June 1900, I. Aphanasiev, the official sent here, who witnessed unbearable conditions, wrote that local workers' strikes were not surprising at all. In September and October of 1900, workers of Rothschild, Mantashev, Nobel, Palashkovski, and other factories went on strike. Strikers had mainly economic demands. Moreover, the strike of Mantashev factory workers was accompanied by political demands, that is why the director of Mantashev factory was concerned, who informed the governor of Kutaisi: "As it seems, the workers were under the influence of non-benevolent people… the strike on November 14 was an obvious example of this". A similar strike took place on November 26 and December 5, of course with political demands. The strike on December 5 resulted into clashes between the police and the strikers. 10 active strikers were arrested. As it turned out, a majority of the arrested workers had been acting under the leadership of the organization "Mesame Dasi" (Third Group). Here is what Ivan Tolkunov, a policeman from Batumi wrote to the Military Governor of Kutaisi: "the rebels are united in the Marxist organization. The Marxist organization has branches almost in every factory. As it seems, the factory management is not paying proper attention to this. They are less interested in their workers' political status, which is totally unacceptable for us, besides it is dangerous because workers' political demands are the result of activities of the Marxist organization, which is totally inadmissible…"

Key words: Anti-state; Social Democrats; strikes; clashes; detentions; eviction;

ოთარ გოგოლიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი
საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქ.32/35
ORCID: 0000-0002-5196-4155
otargogolishvili@gmail.com
593 61 78 95

აბსტრაქტი: მე-20 საუკუნის დამდეგიდან პოლიტიკური მოძრაობა მთელ რუსეთში მძლავრი აღმავლობის გზას დაადგა. გახშირდა გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები. ფართო საზოგადოებას არ სურდა ძველებურად ცხოვრება, განსაკუთრებით აქტიურობდნენ მუშები, რომლებიც უჩიოდნენ თავიანთ მძიმე სოციალურ პირობებს და მასობრივად მოითხოვნდნენ მის გაუმჯობესებას. იმ პერიოდისათვის მუშათა მოძრაობა აღმავლობით წარიმართა ბათუმის ოლქში. აქაურ მუშათა მაშინდელ მძიმე, აუტანელ ეკონომიკურ პირობებს აღიარებდნენ მმართველი პირებიც. ოლქში ქუთაისის გუბერნატორის სპეციალური წარმომადგენელი აღშფოთებით წერდა: ,,ყოვლად შეუძლებელია ისე იცხოვრო, როგორც ცხოვრობს ბათუმელი მუშები. გასაკვირია, ასეთ პირობებში მყოფი ხალხი საერთოდ როგორ მუშაობსო''.

ბათუმის მუშების მძიმე მდგომარეობას აღნიშნვდნენ აგრეთვე პეტერბურგელი ჩინოვნიკები. 1900 წლის ივნისში აქ მოვლენილი ჩინოვნიკი ი. აფანასიევი, რომელმაც თავად იხილა მშრომელთა გაუსაძლისი პირობები, წერდა, რომ სრულებით არ არის გასაკვირი რომ აქაურმა მუშებმა გაფიცვები მოაწყონო.

1900 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გაიფიცნენ როტშილდის, მანთაშევის, ნობელის, პალაშკოვსკის და სხვა ქარხნის მუშები. გაფიცვების მონაწილენი ძირითადად ეკონომიკურ მოთხოვნებს აყენებდნენ. ამასთან 1900 წლის 14 ნოემბერს მანთაშევის მუშების გაფიცვას თან ახლდა მათი მხრიდან პოლიტიკური მოთხოვნები, ამან აღაშფოთა მანთაშევის ქარხნის დირექტორი, რომელმაც აცნობა ქუთაისის გუბერნატორს, რომ: ,,როგორც ჩანს მუშები მოექცნენ არაკეთილმოსურნეების გავლენის ქვეშ. . . 14 ნოემბერს მოწყობილი გაფიცვა სწორედ ამის ნათელი მაგალითია''. ასეთივე გაფიცვა მოხდა 26 ნოემბერს და 5 დეკემბერს, რა თქმა უნდა პოლიტიკური მოთხოვნებით, 5 დეკემბერს გაფიცულ როტიშილდის ქარხნის მუშებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. დააკავეს 10 აქტიური მონაწილე. როგორც გაირკვა, დაკავებული მუშებიდან უმრავლესობა ბათუმში არსებულ ,,მესამე დასის'' ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ, აი, რას წერდა ამის შესახებ ბათუმელი პოლიცმეისტერი ივანე ტოლკუნოვი ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორს: ,,ამბოხებული მუშები გაერთიანებულია მარქსისტულ ორგანიზაციაში. ამ ორგანიზაციას თითქმის ყველა ქარხანაში აქვს თავისი ფილიალები. როგორც ჩანს ქარხნის ხელმძღვანელობამ მოადუნა ყურადღება. ისინი ნაკლებად არიან დაინტერესებული თავიანთი მუშების პოლიტიკური მდგომარეობით. ეს კი ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია და ამასთანავე სახიფათოცაა, რადგან სწორედ მარქსისტული ორგანიზაციის მოღვაწეობის შედეგია ის, რომ მუშები პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებენ, რაც ყოვლად დაუშვებელია''.

საკვანძო სიტყვები: ანტისახელმწიფოებრივი; სოციალ-დემოკრატები; გაფიცვები; შეტაკებები; დაპატიმრებები; გასახლება;

შესავალი: მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აქტიურდება პოლიტიკური ცხოვრება. ამ დროისათვის აქაურ მოსახლეობაში ფეხი მოკიდებული ჰქონდა მარქსისტული მიმართულების „მესამე დასის'' ორგანიზაციას. სწორედ მათ მიუძღვით განსაკუთრებული წვლილი სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებაში. ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში არსებულ ორგანიზაციებთან.

მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის აქაური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ერთადერთი მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაცია გახლდათ და მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უმთავრეს როლს ასრულებდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში დაწყებული ეკონომიკური კრიზისი მასობრივად ერეკებოდა ქუჩებში უმუშევრად დარჩენილ ხალხს და ეს ხალხი, გაბოროტებული მთავრობაზე, სიამოვნებით ხდებოდნენ ორგანიზაციის წევრები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორგანიზაციაში ხშირი იყო კრიმინალური ელემენტების გაერთიანების შემთხვევები, რომლებიც, არც თუ ისე იშვიათად, ორგანიზაციის სახელით ჩადიოდნენ სხვადასხვა დანაშაულს. მას ამჩნევდნენ საღად მოაზროვნე წევრებიც და ხშირად სხდომებზე უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ამის შესახებ.

მეთოდები: სტატიაში გამოყენებულია კვლევის როგორც ზოგადი, ისე ვიწრო სამეცნიერო მეთოდოლოგია. მათ შორის: შედარებით-ისტორიული, ანალიზისა და ლოგიკური აზროვნების მეთოდები.

შედეგები: ნაშრომში საყურადღებოდაა შესწავლილი ბათუმის ოლქში მიმდინარე რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მეოცე საუკუნის დასაწყისში. ახალი საარქივო მასალების შემოტანით წარმოჩენილია ბათუმის ოლქში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციების როლი საზოგადოებრივი მოძრაობის გააქტიურების საქმეში. საუბარია ამ მიმართულებით გამართულ დისკუსიებზე, სადაც ბევრი საკითხის განხილვა და გადაწყვეტა ხდებოდა. ასევე საინტერესოდაა განხილული პოლიტიკური კრიზისის დროს მიმდინარე მძიმე ვითარება, რამაც გამოიწვია ბათუმის ოლქში სადამსჯელო ღონისძიებების გატარება მთავრობის მხრიდან, რასაც მოსახლეობაში ბევრი მსხვერპლი მოჰყვა.

მსჯელობა: მე-20 საუკუნის დამდეგიდან პოლიტიკური მოძრაობა მთელ რუსეთში მძლავრი აღმავლობის გზას დაადგა. გახშირდა გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები. ფართო საზოგადოებას არ სურდა ძველებურად ცხოვრება, განსაკუთრებით აქტიურობდნენ მუშები, რომლებიც უჩიოდნენ თავიანთ მძიმე სოციალურ პირობებს და მასობრივად მოითხოვნდნენ მის გაუმჯობესებას. იმ პერიოდისათვის მუშათა მოძრაობა აღმავლობით წარიმართა ბათუმის ოლქში. აქაურ

მუშათა მაშინდელ მძიმე, აუტანელ ეკონომიკურ პირობებს აღიარებდნენ მმართველი პირებიც. ოლქში ქუთაისის გუბერნატორის სპეციალური წარმომადგენელი აღშფოთებით წერდა: „ყოვლად შეუძლებელია ისე იცხოვრო, როგორც ცხოვრობს ბათუმელი მუშები. გასაკვირია, ასეთ პირობებში მყოფი ხალხი საერთოდ როგორ მუშაობსო'' (აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლებით აცსა), ფ. 1, აღწ. 1, საქ. 65). ფურც 26) ბათუმის მუშების მძიმე მდგომარეობას აღნიშნვდნენ აგრეთვე პეტერბურგელი ჩინოვნიკები. 1900 წლის ივნისში აქ მოვლენილი ჩინოვნიკი.ი. აფანასიევი, რომელმაც თავად იხილა მშრომელთა გაუსაძლისი პირობები, წერდა, რომ სრულებით არ არის გასაკვირი რომ აქაურმა მუშებმა გაფიცვები მოაწყონო (აცსა, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 65, ფურც. 28). 1900 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გაიფიცნენ როტშილდის, მანთაშევის, ნობელის, პალაშკოვსკის და სხვა ქარხნის მუშები.გაფიცვების მონაწილენი ძირითადად ეკონომიკურ მოთხოვნებს აყენებდნენ. ამასთან 1900 წლის 14 ნოემბერს მანთაშევის მუშების გაფიცვას თან ახლდა მათი მხრიდან პოლიტიკური მოთხოვნები, ამან აღაშფოთა მანთაშევის ქარხნის დირექტორი, რომელმაც აცნობა ქუთაისის გუბერნატორს, რომ: „როგორც ჩანს მუშები მოექცნენ არაკეთილმსურნეების გავლენის ქვეშ. . . 14 ნოემბერს მოწყობილი გაფიცვა სწორედ ამის ნათელი მაგალითია'' (აცსა, ფ. 1, აღწ. 1. საქ. 102, ფურც. 44). ასეთივე გაფიცვა მოხდა 26 ნოემბერს და 5 დეკემბერს, რა თქმა უნდა პოლიტიკური მოთხოვნებით, 5 დეკემბერს გაფიცულ როტიშილდის ქარხნის მუშებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. დააკავეს 10 აქტიური მონაწილე. როგორც გაირკვა, დაკავებული მუშებიდან უმრავლესობა ბათუმში არსებულ „მესამე დასის'' ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ, აი, რას წერდა ამის შესახებ ბათუმელი პოლიცმეისტერი ივანე ტოლკუნოვი ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორს: „ამბოხებული მუშები გაერთიანებულია მარქსისტულ ორგანიზაციაში. ამ ორგანიზაციას თითქმის ყველა ქარხანაში აქვს თავისი ფილიალები.როგორც ჩანს ქარხნის ხელმძღვანელობამ მოადუნა ყურადღება. ისინი ნაკლებად არიან დაინტერესებული თავიანთი მუშების პოლიტიკური მდგომარეობით. ეს კი ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია და ამასთანავე სახიფათოცაა, რადგან სწორედ მარქსისტული ორგანიზაციის მოღვაწეობის შედეგია ის, რომ მუშები პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებენ, რაც ყოვლად დაუშვებელია''. . . (აცსა, ფ. 1, აღწ. 1. საქ. 102, ფურც. 62).

ასეთი შეტყობინებები ბევრი იყო. მართლაც, მუშების უმრავლესობა ამ დროისათვის უკვე საკმაოდ პოლიტიზირებული გახლდათ. ბევრი მათგანი უკვე გაერთიანებული იყო ე.წ. „საკვირაო სკოლებში'', სადაც იმართებოდა საინტერესო საუბრები მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე. „საკვირაო სკოლების'' მუშაობას წარმართავდნენ აქ არსებული „მესამე დასის'' ხელმძღვანელები: კ. ჩხეიძე და ი. რამიშვილი. ამის თაობაზე იგივე პოლიცმეისტერი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს წერდა: „ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ „ტუზემცების'' უმრავლესობა მოქცეულია ქართველი ნაციონალისტების გავლენაში. ამათგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია კ. ჩხეიძე და ი. რამიშვილი. ყველაზე უფრო ისინი აქტიურობენ. ეს პიროვნებები თითქმის ყოველ კვირას იკრიბებიან მუშათა უბანში და აქ არსებულ ე.წ. სკოლაში მუშებს ამბოხებენ არსებული წყობილების წინააღმდეგ''. (აცსა, ფ. 1, აღწ. 1. საქ. 102, ფურც. 76). ამის გამო იყო, რომ 1900 წლის 21 დეკემბერს ერთ-ერთი ისეთი შეკრების

დროს, სკოლას ალყა შემოარტყა პოლიციამ და იქ მყოფი ყველა დააპატიმრა. დაპატიმრებულებს შორის იყო კ. ჩხეიძე, რომელსაც პოლიცმეისტერი მოჯანყეს უწოდებს. პოლიციელებს გაუჩხრეკიათ სკოლის შენობა და უპოვიათ ანტისახელმწიფოებრივი მიმართულების რამდენიმე ბროშურა. ისიც უნდა ითქვას, რომ მსმენელთა უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მუშები იყვნენ. იგივე პოლიცმეისტერი დასძენდა, რომ ასეთი შეკრებები ცუდ გავლენას მოახდენდა ადგილობრივ მაჰმადიანებზე, რომლებიც მთავრობისადმი ერთგულებით გამოირჩეოდნენ.

1901 წლის 12 იანვარს ასეთივე დარბევა მოხდა პოლიციის მხრიდან. ამას მოჰყვა დაპატიმრებები. რადგანაც დაპატიმრებულების უმრავლესობა როტშილდისა და მანთაშევის ქარხნის მუშები იყვნენ, ამ ქარხნის ხელმძღვანელობამ 40-მდე მუშა დაითხოვა სამუშაოდამ იმ მოტივით, რომ ისინი მონაწილეობდნენ ანტისახელმწიფოებრივ შეკრებებში. 1901 წლის 21 იანვარს, საღამოს როტშილდისა და მანთეშევის ქარხნის მუშებმა ქარხნის ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენეს და მოსთხოვეს დაპატიმრებულების განთავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამ ქარხნის გაჩერებით იმუქრებოდნენ. ქარხნის ადმინისტრაციამ გამოიძახა პოლიციელები, დაიწყო მოლაპარაკება, გადაწყდა, რომ ყველა დაპატიმრებულს გაანთავისუფლებდნენ იმ პირობით, რომ ისინი შეწყვეტდნენ ანტისახელმწიფოებრივ შეკრებებში მონაწილეობას. ასეც მოხდა. მუშათა ულტიმატუმმა შედეგი გამოიღო.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აქტიურდება პოლიტიკური ცხოვრება. ამ დროისათვის აქაურ მოსახლეობაში ფეხი მოკიდებული ჰქონდა მარქსისტული მიმართულების „მესამე დასის'' ორგანიზაციას. სწორედ მათ მიუძღვით განსაკუთრებული წვლილი სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებაში. ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში არსებულ ორგანიზაციებთან. ბათუმის სოციალ-დემოკრატებმა ერთგვარად შეცვალეს თავიანთი საქმიანობა რუსი ი. ლუზინისა და გ. ფრანჩესკის მოსვლის შემდეგ. მათი მეოხებით ხშირად იმართებოდა ს.დ. ორგანიზაციის სხდომები, სადაც იხილავდნენ პოლიტიკურ საკითხებს. ერთი გარემოება იყო თვალში საცემი. ეს იყო ორგანიზაციის ეროვნული საკითხისადმი თავიდანვე ნიჰილისტური დამოკიდებულება. ი. ლუზინი პირდაპირ ამბობდა, რომ არავითარი ნაციონალური საკითხის ირგვლივ არ შეიძლება იყოს საუბარი, თუ ვინმე ჩვენთაგანი ამაზე ყურადღებას გაამახვილებს და შეეცდება მასების აყოლიებას, იცოდეთ, რომ ის პროვოკატორი არის და მისი ადგილი არ უნდა იყოს ჩვენს გვერდითო. ი. ლუზინს მხარი დაუჭირა რუსმა მ. კორნეევმა და აღნიშნა, რომ ბათუმელი სოციალ-დემოკრატები მჭიდრო კავშირში უნდა იყვნენ რუსეთში არსებულ ანალოგიურ ორგანიზაციებთან და იქედან უნდა მივიღოთ სამოქმედო დირექტივებიო, ხოლო რუსმა ს. მიხაილოვმა თქვა, რომ საქართველოს სხვა ქალაქებში არსებული სოციალ-დემოკრატები ამ ბოლო დროს ცდილობენ თავს მოგვახვიონ ნაციონალური საკითხები, რაც ჩვენთვის ყოვლად მიუღებელიაო. რუსი სოციალ-დემოკრატების გამოსვლებს მხარი აუბეს ქართველებმაც, კერძოდ ვარლამ მელია, ექვთიმე სიხარულიძე აღნიშნვდნენ, რომ ნაციონალური საკითხის დაყენება განხეთქილებას შეიტანს ჩვენს რიგებშიო (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, (შემოკლებით სცსია), ფ. 13, აღწ. 1, საქ. 96, ფურც. 57).

რუს და ქართველ რევოლუციონერთა შორის ასეთი წინააღმდეგობა, კერძოდ, მათი განმასხვავებელი შეხედულებანი ეროვნული საკითხისადმი, ბათუმის სოციალ-

დემოკრატიულ ორგანიზაციას გაჰყვა მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე. ბათუმის სოციალ-დემოკრატები კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ თბილისში გამართულ გაერთიანებულ თათბირზე დღის წესრიგში შეეტანათ ეროვნული საკითხი. ამ თათბირზე მყოფი ი. ლუზინი დაჟინებით მოითხოვდა მის მოხსნას დღის წესრიგიდან. (ჟორდანია, 1990:33). დავა ამის გამო დიდხანს გაგრძელდა. მაგალითად 1901 წლის 5 თებერვალს გაიმართა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კიდევ ერთი სხდომა. შეხვედრისას დიდი კამათი გაჩაღდა იმის თაობაზე, შესაძლებელი იყო თუ არა მუშებში აგიტაციის ჩატარება ეროვნულ საკითხზე. ამ საკითხზე რუსი ნ. ლოვჩევი ამბობდა: „თუ ვინმე ცდილობს რომ ნაციონალიზმის გაღვივებით წარმატებას მიაღწევს, ძალიანაც ცდება. იცოდეთ ასეთი მოქმედება ძირშივე დამღუპველია და თუ ჩვენს რიგებში არის ამის მოსურნე ხალხი, ისინი დაუყოვნებლივ უნდა გაირიცხონ ორგანიზაციიდანო. მხოლოდ ინტერნაციონალიზმი უნდა იყოს ჩვენი მთავარი მიმართულებაო. ამ სხდომაზე კარლო ჩხეიძე შეეცადა ცოტათი შეერბილებინა მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ნაციონალიზმი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ის თიშავს ან აკნინებს ჩვენს მოძრაობას. ამ შემთხვევაში ნაციონალიზმი უნდა გახდეს არა მთავარი და აუცილებელი, არამედ ერთ-ერთი შემადგენელი ჩვენი მოძრაობისაო. კარლო ჩხეიძის ამ გამოსვლას სასტიკად შეეწინააღმდეგა მანთაშევის ქარხნის მუშა, სომეხი ვართან კაზარიანი. მან თქვა, რომ თუ ჩვენ ნაციონალიზმს დავუშვებთ, თუგინდ მცირედი დოზით, მაშინ ბათუმში არსებული ყველა ეროვნების წარმომადგენელი ნაციონალიზმის გაღვივებას შეუდგება და მთავარი უკანა პლანზე გადაიწევს. ეს კი დამღუპველი იქნება ჩვენი მოძრაობისათვისო. ამ თათბირზე გადაწყვიტეს, რომ ბათუმელ სოციალ-დემოკრატებს სასტიკად ეკრძალებოდათ პროპაგანდის ჩატარება მოსახლეობაში ნაციონალური კუთხით (სცსია, ფ.13. აღწ. 1, საქ. 96, ფურც. 92). ამას მოჰყვა 1901 წლის 21 თებერვალს ქართველი „მესამე დასელების'' საგანგებო სხდომა, რომელიც გაიმართა ბათუმელი მასწავლებლის პეტრე გიორგაძის სახლში. აქ ი. რამიშვილი აღნიშნავდა, რომ რადგან ბათუმი მოსახლეობის მიხედვით ჭრელი ქალაქია და სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისაგან შედგება, რა თქმა უნდა, ნაციონალიზმი არ უნდა იყოს მომგებიანი, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ ქართველი მუშები შეიძლება კიდევაც დაზარალდნენ, თუ უგულებელვყოფთ ეროვნულ საკითხს. ამავე აზრზე დადგნენ ბათუმელი „მესამე დასელები'' მონასე სირაძე, გიორგი ლომაძე და სხვები, მაგრამ უმრავლესობა წინააღმდეგი წავიდა, რადგან თუ ქართველ მუშებში დაიწყებოდა ეროვნული საკითხის გაღვივება, ეს დაძაბავდა მათ ურთიერთობას სხვა ეროვნების მუშებთან და საქმეს გააფუჭებდა. ასეთი შინაგანი დაძაბულობა არსებობდა სოციალ-დემოკრატებს შორის (აცსა, ფ. 1. აღწ. 1, საქ. 102, ფურც. 34).

მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის აქაური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ერთადერთი მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაცია გახლდათ და მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უმთავრეს როლს ასრულებდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში დაწყებული ეკონომიკური კრიზისი მასობრივად ერეკებოდა ქუჩებში უმუშევრად დარჩენილ ხალხს და ეს ხალხი, გაბოროტებული მთავრობაზე, სიამოვნებით ხდებოდნენ ორგანიზაციის წევრები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორგანიზაციაში ხშირი იყო კრიმინალური ელემენტების გაერთიანების შემთხვევები, რომლებიც, არც თუ ისე იშვიათად, ორგანიზაციის სახელით ჩადიოდნენ სხვადასხვა დანაშაულს. მას ამჩნევდნენ საღად მოაზროვნე წევრებიც და ხშირად სხდომებზე უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ამის შესახებ. ხდებოდა ისეც, რომ სოციალ-დემოკრატიას ჩირქს სცხებდნენ ამ ორგანიზაციას მიტმასნებული და მისგან შორს მდგარი პირები. 1901 წლის 10 მარტს, სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის სხდომაზე გიორგი ნოზაძე აღნიშნავდა, რომ საღამოობით ქალაქში გასვლა შეუძლებელია, რადგან

ან გაგძარცვავენ, ან კიდევ ფიზიკურად დაგაზარალებენ, თანაც ამას ჩადის ის ხალხი, რომლებიც ჩვენს კომიტეტში არიან გაერთიანებულნი. ეს ცუდია, რადგან მთავრობა მთელ იერიშს ჩვენზე მოიტანს და შეიძლება გამოიწვიოს ჩვენი დაქსაქსულობა. ამიტომ ყველა მსურველი არ უნდა მივიღოთ ჩვენს რიგებში და ვისაც მივიღებთ, იმისი მკაცრი შემოწმება უნდა მოხდესო. გ. ნოზაძეს არ დაეთანხმა კირილე შონია, მან აღნიშნა, რომ ყველა ის, ვინც ჩადის დანაშაულს ჩვენი წევრი როდია, უბრალოდ ჩვენი სახელით სპეკულირებენ და ამით ჩვენს ავტორიტეტს ლახავენო. გვაქვს ინფორმაცია იმის თაობაზედ, რომ მთავრობა სპეციალურად ავალებს თავის ხალხს დანაშაულის ჩადენას ჩვენი სახელითო. ამ სხდომაზე რუსმა ა. ოსიანინმა აღნიშნა, რომ მას ძალიან უკვირს, როდესაც ასეთ რამეზე საუბრობენ, რადგან რუსეთში, კომიტეტებთან არსებობს შეიარაღებული რაზმები, რომლებიც წარმატებით იბრძვიან მთავრობის წინაღმდეგ და დეზორგანიზაცია შეაქვთ მათ რიგებში. არა თუ ჩვენი სახელით მოქმედება, არამედ ჩვენ კიდევაც უნდა ჩამოვაყალიბოთ ასეთი რაზმები, რათა მთავრობა მუდმივ დაძაბულობაში იყოსო (აცსა, ფ. 1. აღწ. 1, საქ. 102, ფურც. 51). ა. ოსიანინის ეს მოსაზრება ბვერმა გაიზიარა.

1901 წლის გაზაფხულისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა ე.წ. ტერორისტული ორგანიზაცია „შურისმაძიებელი". ამ ორგანიზაციაში გაერთიანებული იყო ოცამდე პირი. ორგანიზაციის წევრები თავს ესხმოდნენ პოლიციელებს, მუქარით სავსე წერილებს უგზავნიდნენ ჩინოვნიკებს და მოითხოვდნენ მათგან ფულსა და ოქროულობას. თავისი მოქმედებით შიშის ზარს სცემდნენ ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობას.ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ადრე რამდენიმეჯერ ნასამართლევი ვინმე პავლე წიქარაძე (პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული არქივი (შემოკლებით პსია), ფ. 1226, აღწ. 12, საქ. 114, ფურც. 84). ეკონომიკური კრიზისის დროს უმუშევრად დარჩენილი ადამიანები იოლად ექცეოდნენ ორგანიზაციის გავლენაში და მისი სახელით ჩადიოდნენ დანაშაულსაც კი. 1901 წლის 10 აპრილს ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორს აცნობდნენ ბათუმში სოციალ-დემოკრატების მიერ ჩადენილ სხვადასხვა სახის კრიმინალურ საქმეს და ითხოვდნენ მისგან გადამჭრელი ზომების მიღებას. მსგავსი შინაარსის წერილი გაიგზავნა პეტერბურგშიც, სადაც მოითხოვდნენ, რომ მთავრობას გადამჭრელი ზომები მიეღო (პსია, ფ. 1226, აღწ. 12, საქ. 114, ფურც. 101).

ფაქტიურად, ბათუმისა და მისი შემოგარენის პოლიტიკურ ცხოვრებას სოციალ-დემოკრატების მტკიცე ხელი აჩნდა.უფრო მეტიც, კომიტეტის დადგენილება თანდათან სავალდებულო ხდებოდა ყველასთვის შესასრულებლად, ხოლო ის, ვინც კი გაბედავდა და არ დაემორჩილებოდა მას, კომიტეტის სახელით მკაცრად ისჯებოდა. მაგ. უმუშევრობის პერიოდში, ის მუშა, რომელიც გაბედავდა და დაიწყებდა მუშაობას, მას სასწრაფოდ აცნობდნენ, რომ შეეწყვიტა მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშათა საქმის ღალატისათვის მას სასჯელი არ ასცდებოდა. ასეთი მოქმედება ბათუმელების შეშფოთებას და რისხვასაც იწვევდა, თანაც ხალხს ეშინოდა, რომ მათ მთავრობა არ იცავდა. ბათუმიდან ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს გაეგზავნა ბათუმელი მუშების ვრცელი ბარათი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ისინი მუდმივ ტერორს განიცდიდნენ, ეშინოდათ სამუშაოს დაწყებისა, რადგან მათ გაუსწორდებოდნენ, მთავრობა კი სრულ უმოქმედობას იჩენდა, ადგილობრივ ადმინისტრაციას არც ძალა შესწევდა და არც მონდომებული იყო ხალხი დაეცვა ტერორისტებისაგან. . . ერთი სიტყვით, გაუსაძლისი მდგომარეობა გახლდათ. ასეთივე წერილები ბათუმიდან იგზავნებოდა თბილისში და პეტერბურგშიც, ერთი და იმავე თხოვნით - დაეცვათ მუშები ძალადობისაგან.

სწორედ, ამ დროს მომწიფდა საკითხი ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიიდან გამოყოფისა და ცალკე გუბერნიად ჩამოყალიბებაზე. ასეთ ვითარებაში ქართველი

მოღვაწეები გონივრულად მოქმედებდნენ ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული სტატუსის დასაცავად. სამწუხაროდ, მათ ვერ შეაჩერეს თვითმპყრობელობის წაქეზებით წამოწყებული ეს მძლავი კამპანია, რომლის მიხედვით ბათუმის ოლქი უშუალოდ დაექვემდებარებოდა კავკასიის სამეფისნაცვლოსა და რუსეთის საიმპერატორო კარს. მართალია ბათუმის ოლქის ცალკე ადმინისტრაციულად აღდგენის საკითხი მოგვიანებით განხორციელდა, მაგრამ ამის გაკეთება სურდათ ჯერ კიდევ 1900 წლისათვის. რომ ეს ასეა, ამაზე მეტყველებს ერთი მნიშვნელოვანი წერილი, გამოგზავნილი პეტერბურგიდან თბილისში 1901 წლის 24 აპრილს: „თქვენს მაღალკეთილშობილებას ვაცნობებთ, რომ ბათუმიდან ჩვენთან მოდის მეტად შემაძრწუნებელი ამბები. იქ ძალადობას საზღვარი არა აქვს. თანაც თქვენთვის ისიცაა ცნობილი, რომ თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ჩვენი იმპერიისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან და სტრატეგიულად სასიცოცხლო მხარეს. ამიტომ, ჩვენთვის ყოვლად მოუთმენელია ამ მეტად მნიშვნელოვანი კუთხის აგრე უყურადღებოდ მიტოვება. ქუთაისის გუბერნიის ხელმძღვანელობა სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს ამ მიმართულებით. გუბერნიის ხელმძღვანელობას ვერ გაუთავისებია ის მნიშვნელობა, რომელსაც ბათუმის ოლქი წარმოადგენს ჩვენთვის. ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენი მთავრობის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით გამოირჩევა და როდესაც დაინახავს, რომ ჩვენი ხელისუფლება არ იცავს მათ ინტერესებს, სავსებით შესაძლებელია ზურგი გვაქციოს და ჩვენ უნდობლობა გამოგვიცხადოს. ეს კი ჩვენთვის ნამდვილად არ არის ხელსაყრელი. ამიტომ, გთხოვთ დაიწყოთ ფიქრი, რომ ბათუმის ოლქი გამოვიდეს ქყთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან და ჩამოყალიბდეს ცალკე დამოუკიდებელ გუბერნიად, რომელიც დაგემორჩილებათ უშუალოდ თქვენ და ასევე მისი იმპერატორობით უდიდებულესობას...გთხოვთ, თქვენმა დაქვემდებარებულმა სამსახურებმა მოამზადოთ ყოველი საჭირო დოკუმენტი ამის სისრულეში მოსაყვანად (სცსია, ფ. 13, აღწ. 1. შაქ. 100. ფურც. 24). ასევე, გთხოვთ ნუ დააგვიანებთ პასუხს და ყოველი გადაწყვეტილების შესახებ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კანცელარია საქმის კურსში ჩააყენეთ (პსია, ფ. 1431, აღწ. 12. შაქ. 251, ფურც. 7-8).

როგორც ამ მეტად საყურადღებო დოკუმენტში ჩანს, იმის შიშით, რომ ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობას ზურგი არ შეექცია მთავრობისადმი და მფარველი სხვაგან არ ეძებნა, იმპერიის ხელისუფლება მოითხოვდა ბათუმის ოლქის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებას და ავალებდა კავკასიის მეფისნაცვალს დაეწყო მოქმედება. მართლაც, შემდგომში მიმოწერიდან ჩანდა, რომ დაწყებული იყო მუშაობა, მაგრამ იმხანად (ე.ი. 1901 წლისათვის – ო. გ.) ამის განხორციელება შეუძლებელი გახლდათ, რადგან ჯერ კიდევ მოსაგვარებელი იყო ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც დროს მოითხოვდა. პეტერბურგის საინპერატორო კარი კი ჩქარობდა. 1901 წლის მაისის დასაწყისში კავკასიის მეფისნაცვალმა დაიბარა თბილისში ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორი და გააცნო პეტერბურგის სურვილი, თანაც მას მოსთხოვა თვითონაც ეფიქრა ამ საკითხზე და წარმოედგინა წინადადებები. ასევე მეფისნაცვალმა გუბერნატორს დაავალა ბათუმის ოლქში წესრიგის დამყარება. ამ შეხვედრას შედაგად ის მოჰყვა, რომ 1901 წლის 22 მაისისათვის ბათუმში შეიყვანეს კაზაკთა პოლკის კიდევ რამდენიმე დამატებითი ერთეული. პოლიციას დაურიგეს იარაღი. ჯარს დაავალეს პოლიციასთან ერთად პატრულირება, ბათუმის მიხაილოვსკის ციხე-სიმაგრის კომენდანტს სთხოვეს უშუალოდ ეხელმძღვანელა ქალაქში წესრიგის დაცვისათვის. ამ ღონისძიებებს შედეგი მოჰყვა. ჯარის ნაწილები აკავებდნენ ქუჩაში დარჩენილ უმუშევრებს და აიძულებდნენ დაეტოვებინათ ქალაქის ტერიტორია. ზოგჯერ პატრულირება მთავრდებოდა კომიტეტის წევრებთან შეტაკებით, რასაც ხშირად მსხვერპლი მოჰყვებოდა ხოლმე. ასეთი შეტაკება მოხდა 1901 წლის

ივნისის დასაწყისში, რომლის დროსაც სამი კაცი მოკლეს (პცია, ფ. 1431, აღწ. 12, საქ. 251, ფურც. 22-24).

მთავრობას დიდ დახმარებას უწევდნენ ჯაშუშები, რომლებიც შეგზავნილნი იყვნენ სხვადასხვა დაწესებულებებში და, რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაშიც. მათი წყალობით პოლიცია გებულობდა კომიტეტის ადგილმდებარეობას და არბევდა მას, მაგ. 1901 წლის 21 ივნისს დაარბიეს ბარცხანის დასახლებაში მდებარე კომიტეტის შტაბ-ბინა, სასტიკად სცემეს იქ მყოფი კომიტეტის წევრები და დაპატიმრებულებთან ერთად თან წაიღეს პროკლამაციები. მთავრობის ასეთი გააქტიურების შესახებ ქუთაისის გუბერნატორს ატყობინებდა პოლიცმეისტერი ვ. როჟანოვი, რომ უმუშევრად დარჩენილი ტუზემცები ძალის გამოყენებით დავაბრუნეთ მათ ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში ბათუმის ფარგლებს გარეთ, ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი მათგანი თვითონვე წავიდა, რადგანაც მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. ასევე, რაც მთავარია ძლიერი დარტყმა მივაყენეთ დანაშაულებრივ კომიტეტს, არაერთი ამ კრიმინალური კომიტეტის წევრი დავაპატიმრეთ, დავარბიეთ მათი ბინები. ასევე, ზოგჯერ ბანდიტები გვიწვევდნენ შეარაღებულ წინააღმდეგობებს, რადგან ჩვენ შევძელით მათი ლიკვიდირება. კომიტეტის წევრები დაშინებულნი არიან და ვფიქრობთ, ვეღარ გაბედავენ წინააღმდეგობის გაწევას. პოლიცმეისტერი როჟანოვი ტყუილად იმშვიდებდა თავს იმაზედ, რომ ვერ შეძლებდნენ შიშის გამო წინააღმდეგობის გაწევას, რადგან მალე იმავე გუბერნატორს მიუვიდა რამდენიმე საგანგაშო წერილი ბათუმიდან, ჯარის ნაწილებსა და პოლიციაზე თავდასხმის შესახებ. გუბერნატორი მუქარით სავსე წერილს აგზავნიდა ბათუმში, მაგრამ როგორც ჩანს, მდგომარეობა იმდენად საგანგაშო იყო, რომ მთავრობას ნამდვილად უჭირდა წესრიგის დამყარება. რომ ეს ასეა, ამაზე საუბრობს ბათუმის ოლქის ჟანდარმთა სამმართველოს ერთ-ერთი თანამშრომელი, კერძოდ, ვ. სტეფანოვი. ის აღნიშნავდა, რომ ხელისუფლებამ მართვის სადავეები გაუშვა ხელიდან, რითაც ისარგებლა დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა და ათასი ჯურის ელემენტმა. ადამიანის სიცოცხლე არაფერს წარმოადგენდა, დღისით, მზისით ყველას თვალწინ ხდებოდა სხვადასხვა ტერორისტული აქტი. ქუჩაში სროლები ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ხალხის თვალწინ ჩადიოდნენ სხვადასხვა დანაშაულს და ამას სამართლისათვის ბრძოლას ეძახდნენ. ხალხის მოთმინებას საზღვარი არა აქვს. ამიტომაც თავი რომ დაიცვას დამნაშავე ელემენტებისაგან, ყველა იარაღდება. ეს კი სახიფათო და შემაშფოთებელიაო (აცსა. ფ. 1. აღწ. 1, საქ. 104, ფურც. 34).

მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია და ჯარისკაცები ერთობლივ რეიდებს ახორციელებდნენ, კრიმინოგენური ვითარება მაინც საგანგაშო იყო. 1901 წლის 14 ივლისს ბათუმში, მარინის პროსპექტზე გაძარცვეს უცხოელები, რომლებსაც წაართვეს ფული და სხვადასხვა ნივთები. შეშფოთებულმა უცხოელებმა (ინგლისელები) იჩივლეს პოლიციაში. ქურდობა დაბრალდა როტშილდის ქარხნის მუშებს, სოციალ-დემოკრატებს რ. მგელაძეს, ი. დოლიძესა და მ. ტაბიძეს (პცსია, ფ. 1431, აღწ. 12, საქ. 251, ფურც. 61.). როდესაც დამთავრდა სამუშაო როტშილდის ქარხანაში, აღნიშნული პირები სახლში ბრუნდებოდნენ, როტშილდის ქარხნის მიდამოებში ისინი შეაჩერეს და პოლიციაში წაყვანა მოინდომეს. მაგრამ საუბრის დროს მათ დააძვრეს რევოლვერები და მოკლეს ორი პოლიციელი. საპასუხო სროლისას პოლიციელებმა ადგილზე მოკლეს ი. ანდღულაძე და მ. ტაბიძე, ხოლო რ. მგელაძე კი ფეხში დაჭრეს, დაჭრილს შემოერტყნენ პოლიციელები და სასიკვდილოდ სცემეს. ეს ყველაფერი ხდებოდა ხალხის თვალწინ. გაბოროტებული პოლიციელები მისცვივდნენ ხალხს და კონდახებით სცემდნენ. მთავრობამ საყვედურით სავსე წერილი გაუგზავნა როტშილდის ქარხნის დირექტორს და მოსთხოვა მას, რომ დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინათ სამსახიურიდან გურიიდან თუ საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსული მუშები,

რადგან მთავრობის თქმით, გურულები ყველა ყაჩაღები არიან და გაერთიანებულნი არიან დანაშაულებრივ ორგანიზაციაში. ის ორი ბანდიტი, რომლებიც მოკლეს პოლიციელებმა, სწორედ რომ გურიიდან იყო (აცსა, ფ. აღწ. 1. შაქ. 104. ურც. 52). მართლაც, როტშილდის ქარხნის დირექტორმა გასცა ბრძანება, სამუშაოდან გაანთავისუფლა 50 კაცი იმ საბაბით, რომ ისინი გაერთიანებულნი იყვნენ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში და ცუდ გავლენას ახდენდნენ სხვა მუშებზე. განთავისუფლებულთა შორის უმრავლესობა იყო გურიიდან და სამეგრელოდან ჩამოსული მუშები (აცსა. ფ. ს. 1. აღწ. 1. ფურც. 59-60). ამან მუშების აღშფოთება გამოიწვია.1901 წლის 2 აგვისტოს დაიწყო გაფიცვა. გაფიცულები მოითხოვდნენ განთავისუფლებული უდანაშაულო ხალხის სამუშაოზე აღდგენას. ამ ფაქტით ისარგებლეს სოციალ-დემოკრატებმა და ხალხს მოუწოდეს დაუმორჩილებლობისაკენ. მოსახლეობაში გაავრცელეს პროკლამაციები, სადაც მხილებული იყო მთავრობა. პროკლამაცია მთავრდებოდა სიტყვებით. „ძირს სისხლიანი ჯალათები''. პროკლამაციები გააკრეს მთელს ქალაქში. მიუხედავად ხალხის მიერ ზეწოლისა, ქარხნების ადმინისტრაცია დათმობაზე არ მიდიოდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა განთავისუფლებული 50 კაციდან აღედგინა 30, ხოლო დანარჩენები, როგორც გამოუსწორებელი „ბუნტოვშჩიკები'', არ აღადგინეს სამსახურში. გაფიცვები მოხდა აგრეთვე 1901 წლის 4 და 10 აგვისტოს. ძირითადად ეს გამოსვლები ატარებდა ეკონომიკურ ხასიათს.

1901 წლის 13 დეკემბერს გაიმართა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სხდომა, ამ სხდომას ესწრებოდა თბილისის ორგანიზაციიდან ჩამოსული ნიკოლოზ ხაზარაძე და გიორგი ცინცაძე. სხდომაზე იმსჯელეს ბათუმში მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებაზე. მოხსენებით გამოვიდა კოტე ლომაძე. მან ისაუბრა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საქმიანობაზე ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან მათი პოლიტიკური აქტივობის გაზრდის მიზნით და მოიყვანა მაგალითები ივლისსა და აგვისტოში ჩატარებული დემონსტრაციების შესახებ. ამავე სხდომაზე კ. ჩხეიძემ უსაყვედურა ზოგიერთ წევრს თვითდაჯერებულობის გამო. ასევე მან არ მოიწონა ის, რომ მუშები ზოგჯერ ნამეტანი დამთმობნი არიან და არ მიჰყავთ დაწყებუული საქმე ბოლომდე. კარლო ჩხეიძის აზრს დაეთანხმა თბილისელი სოციალ-დემოკრატი ნ. ნაზაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატები უნდა აქტიურობდნენ არა მარტო მუშებთან, არამედ ქალაქის მოსახლეობის ყველა ფენას შორის. რა თქმა უნდა – აღნიშნა მან, - მთავრობის მხრიდან იქნება წინააღმდეგობა, მაგრამ მას არ უნდა შევუშინდეთ და ვიმოქმედოთ გაბედულად. ამ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება მოსახლეობაში მუშაობის გააქტიურებისა და კომიტეტის საქმიანობაში მასების ჩაბმის შესახებ. სხდომის ჩატარებიდან ორი დღის შემდეგ, 15 სექტემბერს ბათუმის რკინიგზის ვაგზალზე დააპატიმრეს ნ. ხაზარაძე. პოლიციის დასმენიდან ვგებულობთ, რომ „ბანდიტ'' ხაზარაძეს არ ჰქონდა არც პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და არც რაიმე დოკუმენტი, ამასთან ის შემჩნეულია ბათუმელ დამნაშავეებთან კონტაქტში (აცსა, ფ. 1. აღწ. 1. საქ. 114, ფურც.152). ასეთი სხდომა გაიმართა 1901 წლის 5 ოქტომბერს, სადაც იყო საუბარი სოციალ-დემოკრატების მუშაობის ტაქტიკაზე.ბათუმელი სოციალ-დემოკრატების გააქტიურებამ ძალზე დააფიქრა ჟანდარმერიის სამმართველოს ხელმძღვანელობა. ჟანდარმთა სამმართველოს ანგარიშში (1901 წლის ოქტომბერი) ვკითხულობთ, რომ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია წარმოადგენს ამჟამად ყველაზე უფრო ორგანიზებულ და დახვეწილ გაერთიანებას. რეგულარულად იმართება მათი სხდომები, სადაც საუბარია პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე. ამ ორგანიზაციის წევრები ეწევიან ბათუმელ მუშებში ანტისამთავრობო აგიტაციას, ახერხებენ მათ აჯანყებას ხელისუფლების წინააღმდეგ სხვადასხვა მოთხოვნებით. რაც უფრო შემაშფოთებელია, ორგანიზაციაში გაერთიანებულნი არიან მუშების დიდი

ნაწილი, ეს კი თავის მხრივ თავსატეხს უჩენს ფაბრიკა-ქარხნების ხელმძღვანელობას. მიუხედავად მთავრობის მხრიდან განხორციელებული რეპრესიებისა, ორგანიზაციების ლიკვიდირება არ ხერხდება... და ა. შ. ამ დოკუმენტიდან შესანიშნავად ჩანს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ძლიერება და პოპულარობა მასებში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატების მიერ განხორციელებული ღონისძიებები, მხედველობაში მაქვს ტერორისტული აქტები თუ სხვა მსგავსი დანაშაულობები, მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას იწვევდა (პსია, ფ. 1226, აღწ. 12, საქ. 140, ფურც. 310).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 13, აღწ. 1, საქ. 96, ფურცლები 24, 57, 92

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 65, ფურცლები 26, 28, 34, 44, 51, 52, 59-60, 62, 76, 152.

პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 1226, აღწ. 12, საქ. 114, ფურცლები 7-8, 22-24, 61, 84 , 101, 310.

ჟორდანია, ნ. (1990). *ჩემი წარსული.* თბილისი.

REFERENCES:

sakartvelos tsent'raluri sakhelmts'ipo ist'oriuli arkivi, p. 13, aghts'. 1, sak. 96, purtslebi 24, 57, 92

ach'aris tsent'raluri sakhelmts'ipo arkivi, p. 1, aghts'. 1, sak. 65, purtslebi 26, 28, 34, 44, 51, 52, 59-60, 62, 76, 152.

p'et'erburgis sakhelmts'ipo ist'oriuli arkivi, p. 1226, aghts'. 12, sak. 114, purtslebi 7-8, 22-24, 61, 84 , 101, 310.

zhordania, n. (1990). *chemi ts'arsuli*. tbilisi.